

# ბებერი ბია

(საშემოდგომო ჩანახატი)

ჩემს ბაღში მდგომ ბებერ ბიას გრძელი ისტორია აქვს. ეს ბაღი 90-იანი წლების დასაწყისში შევიძინე ერთი მოყვარული მეზობლისგან, რომელიც სხვა ქალაქში გადასახლდა და სახელდახელოდ უნდოდა საკარმიდამო ნაკვეთის თავიდან მოშორება. მე კი პირიქით: მაშინ ნაკვეთს დავემბედი და ეს ბაღი სწორედ რომ ბედზე შემხვდა. ბებერი არ გვივაჭრია, პირველივე დათვალიერებისას გავაფორმეთ ხელშეკრულება და ნაკვეთი ჩემს ხელთ გადმოვიდა. რასაკვირველია, ხეხილითა და პატარა ხუხულით, რომელიც ჯერ კიდევ ჩემს წინა მფლობელამდე აქმენებინათ ნაკვეთზე. სხვა რამეც ბებერი იყო ამ ბაღში წინა ან წინისწინა მფლობელის ჩარგული და აგებული.

მთელი ბაღის მშვენიერება გატოტილი, გაფურჩქნული და ამაყი ბია იყო, თუკი ხის მიმართ საერთოდ დასაშვებია ამგვარი ეპითეტის ხმარება. ბია შუა ბაღში იდგა, არც ისე მაღალი იყო, მაგრამ ძალიან გატოტილი. კაცი ამ ხის დანახვსთანავე იგრძნობდა, რომ მასში ძალა, ფარული ძლიერება იყო შემალული. ეს ძლიერება და ენერჯია გაზაფხულობით ასობით ვარდისფრად-თეთრ კოკორ-ყვავილში ამოსჩქევდა, ხოლო შემოდგომისას ულამაზეს ქარვისფრად - ყვითელ, ტოტებზე თავგანწირვით მოკონწიალე კომშებში ბრწყინდებოდა.

ერთ-ერთი შეხვედრისას, ჯერ კიდევ ვიდრე ნაკვეთს საბოლოოდ გადავიფორმებდი, ყოფილმა მფლობელმა ცოტა რამ მიაშობო ამ ბიის შესახებ და ამით ჩემი დამოკიდებულება ხისადმი უფრო ემოციური გახდა. თურმე, ხეებსაც აქვთ საკუთარი ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადამიანებზე მომრავი არ არიან და ფესვებით არიან მიწას მიჯაჭვული. დღემდე არ ვიცი, რა არის ამ ისტორიაში ნამდვილი და რა - შეთხზული. თურმე, თავიდან, გურიაში გამოუყვანიათ მენერგეებს და ასევე ნერგად გაუყიდათ ქუთაისში. მოგვიანებით, ის ქუთაისელი კაცი, ვისაც ბიის ნერგი შეუძენია, თბილისში გადასულა სამსახურად მაღალ თანამდებობაზე და დროს ვეღარ პოულობდა, რომ ქუთაისში ევლო. იმასაც, აუღია და ჯერ კიდევ ნორჩი ბია თბილისში გადმოურგავს თავისი სახლის წინ. აქ ბია მომძლავრებულა და ისე გაზრდილა, რომ სხვა ხეებისთვის უჯობნია. მოყვარულ მეზობლებშიც სახელი გაუთქვამს. ასე იყო თუ ისე, ამით მისი ისტორია არ დამთავრებულა. იმ წლებში თბილისში სტუმრად მყოფ ცნობილ რუს აგრონომსა და მეზაღეს (ამ კაცს მეტსახელად "კუზიანს" ეძახდნენ) ჩვენი ბია უნახავს და გადაუწყვეტია, უიმისოდ არ დაბრუნებულიყო ჩრდილოეთში. ჩვენებს მისთვის ხათრი ვეღარ გაუტეხიათ და სხვა ძღვენისათვის კომშის ხეც გაუყოლებიათ. რაღა ბებერი გავაგრძელო და მოუწია ქართულ ბიას რუსეთის ზამთრების გაძლება. თუმცა, გაძლებას ეტყვიან და ბიას ცივი ჰავა მაინცდამაინც, არ ვნებს. პირიქით, ჩვენებურ ბიას რუსეთში ძალზე გაუხარია, გაბარდნილა, გალამაზებულა და არც პატრონი შეურცხვენია. რუს აგრონომს ქართული ბია, თურმე, განსაკუთრებით ჰყვარებია და ყველას სიამაყით უჩვენებდა, შინაური სტუმარი იქნებოდა თუ გარეული. მის ჩრდილქვეშ სუფრის გაშლაც ჰყვარებია პატრონს. შემდგომში, როცა ბიის ჩრდილოელი პატრონი დაუძღვრებულ-დაჩანაკებულა, თბილისელ მეზობლებს ისევ გახსენებით ქართული ბია და დიდი ხარჯითა და მონდომებით უკან გადმოურგავთ. მეზობლებს დიდხანს უკამათიათ იმის შესახებ, თუ სად და როგორ ჩაერგოთ დაბრუნებული ხე. ბოლოს, ისევ ჩემი ახლანდელი ბაღი უმჯობინებით, აქ ველურად გაზრდილი ეკლის ბარდი ამოუთხრიათ და მის ადგილას ბია ჩაურგავთ დიდი პატივით. ეს

უკვე ის ხე აღარ იყო, წლების წინათ რომ გადარგეს რუსეთში. მძლავრი ტოტებით, ძლიერი ფესვებით და თითქმის უზადო ქერქით სხვას სჯობნებია. ხეებმა ყოყლოჩინობა ნამდვილად არ იციან, თუმცა, ამ ბიას საყოყლოჩინო ბევრი ჰქონდა და ყოყლოჩინობა რომ შესძლებოდა, ალბათ, იყოყლოჩინებდა კიდევ. მოკლედ, ჩარგეს ისევ ჩვენი ბია მოყვარული მებალისათვის გაცემულ ექვს მეასედ ნაკვეთზე, ველური ეკლის ბარდის ადგილას და ახლა მე შემომცქერის ყოველ შაბათ-კვირას, როცა ბაღში სამუშაოდ ვიცილი.

ცნობილია, რომ კომში დაუმუშავებლად არ იქმება: კბილის მოჭრა იცის და გულზე დადგომა, თუმცა, საოცარი სურნელი აქვს და ფერ-იერით ხელში ასაღებად გეპატიყება. პირველ წლებში ჩემი ცოლი მურაბებსა და ჯემებს ხარშავდა ნაყოფისგან. მეზობლებსაც ბევრს ვურიგებდით. ძალიან ბარაქიანი მოსხმა იცოდა: ისე დაიხუნძლებოდა, უკვე ივლისიდან ვუყენებდი საყრდენ ჭიგოს, ტოტები რომ არ ჩამომტვრეოდა ნაყოფის სიმძიმით. ჩრდილიც მშვენიერი იცოდა: მისი სიგრილე ზაფხულის ხვატში ლამის მთელ ბაღს ჰყოფნიდა. ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო, მოყვარეს ახარებდა და მტერს თვალს უვსებდა.

პირველ წლებში, გაზაფხულობით, როდესაც მარტის წვიმებს შორის პაუზებში ბაღს მზე დააცქერდებოდა, ბია კეკლუც მოვარდისფრო კოკრებს გამოიღებდა, უკვე აპრილისკენ თეთრად ყვავილობდა და მაისის ბოლოს კი პატარა მოგრძო ნაყოფებს ისხამდა. მის ცქერას ამ დროს არაფერი სჯობდა: იგი ჭაღარა, დაბრძენებულ მოხუცს მაგონებდა, სიამაყით რომ გაჩვენებს, მეც შემძლია საქმის კეთებაო. ბია თითქოს მაშინებდა, ასაკში კი შევედი, მაგრამ იმდენად არ დავბეჩავებულვარ, მოსაჭრელად რომ გამიმეტოთო. ხის გამეტება მოსაჭრელად უძნელესი საქმა. არასოდეს იცი დანამდვილებით, თუ როდის მოჭრა ხე: როცა მას საკმარისი ნაყოფი აღარ მოაქვს, როცა უკურნებელი სენი შეეყრება თუ მაშინ, როცა ქარიშხალი დაუმტვრევს ტოტებს. სულ იმედი გაქვს, გაისად გაიხარებს, ისევ კარგად მოისხამს და ძველებურად გაიბარდნებაო.

მოჭრა იმიტომ ვახსენე, რომ ბოლო წლებში ჩემმა ნაქებმა ბიამ ნაყოფის გამოღება შეწყვიტა. ერთი-ორ კომშს თუ მოისხამს, ისიც ჭიანსა და დაღმეჭილს. რა არ ვიღონე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ხან მებაღე მოვიწვიე რჩევისათვის და გასასხლელად, ხან შევწამლე, არც სასუქი და ნეხვი მომიკლია, მაგრამ ეტყობა, ამ ხეს ყავლი გაუვიდა და მან თავისი დრო მოჰამა. წარსული წლების სიუხვე უგზო-უკვლოდ გაქრა. ერთი რამ შემორჩა ბიას: ჩრდილი. ცაზე ღრუბლის ფთილაც რომ არ იყოს და თავარა მზე აცხუნებდეს, ამ ხის ქვეშ მაინც ჩრდილია. მაგას რა სჯობიაო, - კაცი იტყვის. ცხელ ზაფხულში ყველას უყვარს ჩრდილში წამოწოლა და სიგრილით ტკბობა. საქმე ის არის, რომ ჩრდილი წამოსაწოლად და დასასვენებლად, საუსაქმუროდაც კარგია, მაგრამ ბიის ქვეშ, სარეველას გარდა, აღარაფერი ხარობს, ყველაფერი ჭკნება: ვერც სხვა ხეს ჩარგავ, ვერც ყვავილს ახარებ და ვერც მწვანილს მოიყვან. აღარც საკუთარი ყლორტი მოსდის ფესვიდან. ხოზიკა, ჭყიმი, ჭინჭარი და სხვა ბალახ-ბულახი კი, იცოცხლე, უხვად იფურჩქნება. ჭინჭარში წამოწოლა კი, მოგეხსენებათ, სარისკო საქმა. გარდა ამისა, ეტყობა, ბიის ფესვებიც ლპობას იწყებს და ნიადაგს წამლავს. მინდვრის თაგვი, მუხლუხო, მახრა და ჭიადლუც იმდენი შესევია, რომ შიში მაქვს, ჯანმრთელ ხეებსაც არაფერი ავნონ. წინათ ამ ხის სანახავად შორით მოდიოდა ხალხი, ახლა კი ზედაც აღარავინ უყურებს. თუკი ადრე ჩემს ბაღზე ჩიტი არ გადაიფრენდა, ბიის ტოტზე რომ არ მოეკალათა, ეჭიკჭიკა და შეესვენა, ახლა მასზე პეპელაც აღარ ჯდება. თუმცა, რა გასაკვირია, ჩიტ-პეპელას ფერ-სურნელი იზიდავს, დამჭკნარი ფოთლისთვის კი ვინ უნდა მოფრინდეს?! ხესაც და კაცსაც ერთი რამ აქვს საერთო: არც ერთსა და არც მეორეს არ შეუძლია უსასრულოდ ნაყოფის გამოღება. ხეც ბერდება და ადამიანიც. ხის ცხოვრება ადამიანის ცხოვრებისგან კი

იმით განსხვავდება, რომ როდესაც ხე თავის მთავარ ფუნქციას ვეღარ ასრულებს, ანუ როდესაც ვეღარც მსხმოიარობს და სხვა სარგებლობაც ვეღარ მოაქვს, მას, ადამიანივით, პენსიაზე ვერ გაუშვებ. იგი უნდა მოჭრა და მის ადგილას სხვა, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხე ჩარგო. მისი ადგილი სხვა ხემ უნდა დაიკავოს, რომელიც რაიმე სარგებელს მაინც მოუტანს ადამიანს. ოთხიოდე წლის წინათ მინდოდა მომეჭრა და მის ადგილას ახალი ბია ჩამერგო, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჯერ იყო და, ბევრი ვიყოყმანე: შევყურებდი და მენანებოდა, ვფიქრობდი, რომ ისევ იბრუნებდა პირს და ძველებური სიმხნევით დაისხამდა კომშს. მოლოდინი არ გამიმართლა: მას შემდეგ ერთხელაც არ უმსხმოიარია. ჩვენცა და ჩვენი მეზობლებიც ისე შევეჩვიეთ ამ ხეს, რომ ჩვენი ბაღი უბიოდ ვეღარ წარმოგვედგინა. მინდოდა, ან მისივე ნაყარი ყლორტი გადმომერგა, ან ახალი ნერგი მეშოვა. არც ერთი მოხერხდა და არც მეორე. თითქოს კონკურენციისა ემინიაო, ბიამ ყლორტის ამოყრა შეწყვიტა. თუ ფესვიდან ნაყარი ამოსდიოდა, უვარგისი იყო. ვერც შესაფერი ნერგი ვიშოვე. კარგი ბია ჩვენს დროს ძნელი საშოვნელია.

ახლა ვართ მე და ჩემი მეზობლები ასე და შევცქერით დაუძლოურებულ ბიას, რომელიც აღარც ნაყოფს ისხამს და რომლის ქვეშ წამოწოლაც აღარავის უხარია. ერთი მხრივ, ყველას გვენანება: კარგი ხე იყო, ნაყოფსაც კარგს ისხამდა და ბევრიც გვასიამოვნა. მეორე მხრივ, ვატყობ, რომ დაბერდა და მოსაჭრელია. ალბათ, ამ შემოდგომაზე აუცილებლად მოვიცლი, ვიშოვი ახალი ბიის ნერგს და ჩემს ბებერ ბიას საბოლოოდ მოვჭრი.